საჭიროა ღვთისმსახურების სახლების და რელიგიური ორგანიზაციის (FAITH-BASED ORGANIZATION, FBO) ფართი

პოტენციური მასპინძლობის ცენტრის შესამოწმებელი კითხვარი

ნიუ-იორკი განიცდის უპრეცედენტო ჰუმანიტარულ კრიზისს: გასული წლის განმავლობაში აქ ჩამოვიდა **70 000-ზე მეტი თავშესაფრის მაძიებელი პირი ლათინური ამერიკიდან და დასავლეთ აფრიკიდან** და ყოველ კვირას მათი რაოდენობა სულ უფრო მატულობს. ნიუ-იორკის კონფესიათაშორისი სამაშველო სერვისების (New York Disaster Interfaith Services, NYDIS) საგანგებო თავშესაფრების ქსელი (Emergency Shelter Network), ნიუ-იორკთან პარტნიორობით, დააფინანსებს ნებისმიერი რელიგიური ტრადიციის 5 ობიექტს, რათა მომდევნო 12-24 თვის განმავლობაში დღისით ამუშაონ მასპინძლობის ცენტრი მომდევნო 12-24 თვის განმავლობაში დაახლოებით 150 სტუმრისთვის მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად. თავშესაფრები ღია უნდა იყოს წელიწადში 365 დღე, 07:00 საათიდან 19:00 საათამდე.

თითოეულ ღვთისმსახურების სახლს ან რელიგიურ ორგანიზაციას უნდა ჰქონდეს:

- 6+ ერთადგილიანი საშხაპე კაბინა (ან ადგილი და მზადყოფნა, დააყენოს ჩვენთვის საშხაპე კაბინები)
- ხანძრის ჩაქრობის სისტემა
- სრულად ფუნქციონირებადი კომერციული სამზარეულო (ან საკვები შეიძლება მიწოდებული იქნეს) სხვადასხვა კერძების მოსამზადებლად (მოთხოვნით ვეგანური და ვეგეტარიანული კერძების და ჰალალ კერძების ჩათვლით)
- კომპეტენტური ენობრივი მომსახურება, მოხალისეები და პერსონალი (ესპანური, ფრანგული, დასავლეთ აფრიკის ფრანგული, ვოლოფი და ა.შ.)
- განთავსებასთან დაკავშირებული გონივრული მოთხოვნილებების დაკმაყოფილების უნარი (მაგალითად, ენობრივი, დიეტური, რელიგიური და შშმ პირთა მოთხოვნილებები)

კომპენსაცია: 54 000 აშშ დოლარამდე თვეში, ავანსად ყოველთვიურად; ამ თანხიდან ობიექტმა შეიძლება დააფინანსოს შემდეგი დოკუმენტურად დადასტურებული ხარჯები ან აუცილებელი მომსახურება:

- დამლაგებლების ხელფასის თანხა (100 აშშ დოლარი დღეში ან 3000 აშშ დოლარამდე თვეში)
- 07:00 საათიდან 19:00 საათამდე ობიექტზე მყოფი ერთი ცენტრის კოორდინატორი (30 აშშ დოლარი საათში = 11 000 აშშ დოლარს თვეში – ამ თანხიდან, სურვილის შემთხვევაში, შეიძლება შეღავათების გადახდა)
- 07:00 საათიდან 19:00 საათამდე ობიექტზე მყოფი ნიუ-იორკის შტატის ლიცენზირებული დაცვის ერთი თანამშრომელი (360 აშშ დოლარი დღეში ან 11 000 დოლარამდე თვეში)
- საკვები: ყოველდღიური ცხელი სადილი და წახემსება 150 ადამიანზე (5 აშშ დოლარი ერთ ადამიანზე დღეში = 23 000 აშშ დოლარს თვეში)
- დაზღვევის თანხა (1000 დოლარამდე თვეში)
- სახარჯი მასალები (2000 აშშ დოლარი თვეში) და სხვადასხვა წინასწარ დამტკიცებული მხარდაჭერა (2500 აშშ დოლარი თვეში)
- Wi-Fi და საკაბელო ტელევიზიის თანხა (165 დოლარი თვეში)
- **ფართით/კომუნალური მომსახურებით სარგებლობის თანხა თვეში საექსპლუატაციო ხარჯების ანაზღაურების მთლიანი თანხის 25%-ის ოდენობით — 13 000 აშშ დოლარამდე თვეში.**

რას უზრუნველყოფს NYDIS-ის გადაუდებელი თავშესაფრების ქსელი?

- NYDIS-ის თავშესაფრების სპეციალურ საოპერაციო მენეჯერს (Shelter Operations Manager) თქვენი ცენტრის ობიექტის მუშაობის მხარდასაჭერად: ლოგისტიკის მხარდაჭერის, ანგარიშების წარდგენაში დახმარების, ობიექტზე ყოველკვირეული მხარდაჭერის ჩათვლით.
- ყოველთვიურ საოპერაციო ავანსს 54 000 აშშ დოლარამდე და ფართის გამოყენების საფასურს 13 000 აშშ დოლარამდე
- ლეპტოპს დაკავებულობის აღსარიცხავად და საჭიროებისამებრ ანგარიშების/ფორმების გასაგზავნად.
- გრანტებს საშხაპეების დასამატებლად
- მიმართვებს დაცვის, სამრეცხაოს, სურსათის შესყიდვისა და, საჭიროების შემთხვევაში, მომწოდებლების სამსახურებისთვის
- პირსახოცებს/ხელსახოცებს დასაბანად, ჰიგიენურ ნაკრებებს, გასაცემ ტანსაცმელს
- ტრენინგს და ტექნიკურ მხარდაჭერას თითოეული ობიექტისთვის, მისი პერსონალისა და მოხალისეებისთვის

იმის გასარკვევად, თუ როგორ დავეხმაროთ ჩვენს ახალ მეზობლებს კრიზისულ სიტუაციაში მასპინძლობის გაწევით და უსაფრთხო თავშესაფრის უზრუნველყოფით, ასევე თქვენი ძირითადი ხარჯების დაფარვის შესახებ ინფორმაციისთვის:

ინფორმაცია თავშესაფრის მაძიებლების შესახებ

შეავსეთ ეს ონლაინ კითხვარი:

https://howalert.org/HospitalityCenterSurvey

გამოკითხვა დაგეხმარებათ განსაზღვროთ, რამდენად აკმაყოფილებთ მოთხოვნებს თავშესაფრის კონტრაქტის დასადებად. ფორმის შევსება არაფრით არ გავალდებულებთ თქვენ ან თქვენს დაწესებულებას, გაცნობითი ხასიათის საუბრის გარდა.

ონლაინ კითხვარი